

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

30.04.2010 წელი

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 2010 წლის 30 აპრილს (ძალაში შესვლის თარიღი)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №497 განკარგულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში

და

მეორეს მხრივ შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯია“, რომლის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჯავახეთის ქ.№66, (შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი აბესაძის მიერ,

ვღებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1.

საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მემორანდუმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1 კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს წინამდებარე მემორანდუმის დანართით

გათვალისწინებული ორი ჰიდროელექტროსადგურის – ხობიქესი-1 და ხობიქესი-2 – მშენებლობას, ფლობას და ექსპლუატაციას (შემდგომში „პროექტი“) საქართველოს ტერიტორიაზე, სამეგრელოში, მდინარე ხობისწყალზე.”

ბ) მემორანდუმის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

“გ) უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას საერთო ჯამში 146 000 000 აშშ დოლარის ოდენობით.

გ) მემორანდუმის დანართი №1, №2, №3, №4 და №5 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

21. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

2.2 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ორ ენაზე: ქართულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულ ენაზე 2-2 ეგზემპლარი. ამასთან ინტერპრეტაციის დროს შეუთანხმებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვერსიას.

ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით


ხელისმომწერი:



ხელმოწერილია:

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ სახელით

ხელისმომწერი:



Agreement

For amendment of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Georgian investment group Energy LTD, dated the September 15, 2009

Tbilisi

30.04.2010

The present agreement is signed on the April 30, 2010 (date of effectiveness)

On the one hand the government of Georgia (hereinafter referred as 'Government') represented by the Ministry of Energy of Georgia Alexander Khetaguri, pursuant to decree of the Government of Georgia #497, dated April 24, 2010,

On the other hand Georgian investment group Energy LTD, with legal address at 66, Javakheti Str. 0182 Tbilisi, Georgia (the "Company"), represented by General Director Dimitri Abesadze.

draw up above mentioned agreement on the following:

Article 1.

The Memorandum of Understanding between the Government of Georgia and Georgian investment group Energy LTD, dated the September 15, 2009 (hereinafter referred as 'MOU') is amended as follows:

a) paragraph 1 of the article 2 is amended and shall be read as follows:

„2.1. The Company shall ensure implementation of the project consisting of construction, own and operation of 2 hydro power plants – KhobiHPP-1 and KhobiHPP-2 on the territory of Georgia, in the Samegrelo (riv. Khobistskali) as described in the Annex to this MOU (the "Project");”

b) subparagraph `c` of the paragraph 1 of article 3 shall be read as follows:

„c) Secure the required investments in the total amount 164 000 000 USD;”


c) The annex No 1, No 2, No 3, No 4 and No 5 of the MOU shall be read as enclosed addition of the present agreement.

Article 2.


2.1. The present agreement comes in force after the date of signing by the parties and is indivisible part of the Memorandum of understanding signed between the government of Georgia and Georgian investment group Energy LTD, dated the September 15, 2009.

2.2. The present agreement is bind in two languages: Georgian and English, two copies in each language. Upon interpretation, priority is to given to the Georgian version.

Signed on behalf of the government of Georgia:


A circular stamp of the government of Georgia is partially obscured by a signature. The signature is written in black ink over a horizontal dashed line. The stamp contains text in Georgian and English, including "საგარეო ურთიერთობების სამსახური" and "MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS".

Signed on behalf of the Georgian investment group Energy LTD

A circular stamp for GIG ENERGY LTD is shown with a signature written over it. The signature is written in black ink over a horizontal dashed line. The stamp contains the text "GIG ENERGY LTD" and "საქართველოს ინვესტირების ჯგუფი" in Georgian. The stamp also includes the identification number "205256177" and "საქართველო" (Georgia).


ადგილმდებარეობა / Location

№	დასახელება / Name	რაიონი, მდინარე / Region, River
1.	ხობიქსი-1 / Khobi HPP -1	ჩხოროწყუ, მდ. ხობისწყალი / Chkhorotskhu, Riv. Khobistskhali
2	ხობიქსი-2 / Khobi HPP -2	



სიმძლავრე / Capacity


№	დასახელება / Name	დადგენილი სიმძლავრე მგვტ. / Estimated Capacity in MW
1	ხობიჰესი-1 / Khobi HPP -1	46.50
2	ხობიჰესი-2 / Khobi HPP -2	39.50
	ჯამი / Total	86.00



განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და მისი უძებების სავარაუდო ვადა

Size of Required Investment and Estimated Recovery Term

№	დასახელება / Name	ინვესტიციის მოცულობა აშშ დოლარი / Size of Investment USD	ინვესტიციის უძებების სავარაუდო ვადა / Estimated Recovery Term
1.	ხობი-1 / Khobi HPP -1	81 000 000	10 წელი/10 years
2	ხობი-2 / Khobi HPP -2	65 000 000	10 წელი/10 years



მშენებლობის ნებართვის მიღების, მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა

Terms of Obtaining Construction Permits, Commencement of Construction and Commencement of Operations


№	დასახელება / Name	ნებართვის მიღების ვადა / Date of Obtaining Permits	სამშენებლო სამუშაოები / Construction Works	ექსპლუატაციაში გაშვება / Commencement of Operation
1	ხობიქსი-1 / Kkhobi HPP-1	01.10.2014	დაწყება / Launching date 01.11.2014 დასრულება / Commissioning date 01.11.2017	01.12.2017
2	ხობიქსი-2 / Kkhobi HPP-2	01.09.2010	დაწყება / Launching date 01.09.2010 დასრულება / Commissioning date 01.04.2014	01.05.2014




წლიური გამომუშავების ოდენობა

Annual Capacity

№	დასახელება / Name	წლიური გამომუშავება მლნ. კვტსთ / Annual Capacity mln. KWH
1	ხობიჰეს-1 / Khobi HPP-1	247
2	ხობიჰეს-2 / Khobi HPP-2	221
	ჯამი / Total	468



ნახე



საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№497 2010 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართულ საინვესტიციო ჯგუფ ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გასაფორმებელი შეთანხმების თაობაზე

3. მოწონებულ იქნეს „საქართველოს მთავრობასა და შპს „ქართულ საინვესტიციო ჯგუფ ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ გასაფორმებელი შეთანხმება.

4. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად ზემოაღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაბერძე.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გიკოლაური

1. მოწონებულ იქნეს შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ წინადადება ხობიქსი-1-ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ და ხობიქსი-2-ისა და ხობიქსი-3-ის ერთ პიდროელკმპროსადგურად გაერთიანების შესახებ.

2. „სახელმწიფო პროგრამა „განახლებადი ენერჯია 2008“ - საქართველოში განახლებადი ენერჯიის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის №107 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე პუნქტის საფუძველზე შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ მიერ ხობიქსი-1-ის მშენებლობის, ოპერირებისა და ფლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვაზე არ ბაერცედეს ზემოაღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესი.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 04/28/04-2439

06. 04 2009

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ენუქიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა/წლის 29 მარტის №04/1014 წერილით წარმოდგენილი „საქართველოს მათეობასა და შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერჯიას“ შორის 2009 წლის 15 სექტემბერს გაფორმებულ მემორანდუმში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მემორანდუმში წარმოდგენილი ცვლილებების შეტანის განზრახვიდან გამომდინარე, საჭიროა საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება, ჩვენს მიერ მემორანდუმის თავდაპირველ პროექტთან დაკავშირებით 2009 წლის 30 ივნისს გაცემული №01/23/13-6396 დასკვნის არსის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

თინა ბურჯულაანი

მინისტრის პირველი მოადგილე